დღეს:

„ზარია" (ლუგანსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)
„ნეფტიანიკი" (ბაქო) — „დინამო" (კიევი)
„არარატი" (ერევანი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა)
ასკ (როსტოვი) — „დინამო" (მინსკი)
„შახტიორი" (დონეცკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)
„პახტაკორი" (ტაშკენტი) — ცსკა
„კაირატი" (ალმა-ათა) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი)
„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
„ტორპედო" (ქუთაისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 65 (3295)
2
1967 წ.
აპრილი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

28 ჩემპიონატი და 6 ჩემპიონი

დღეს იწყება სსრ კავშირის 1967 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. ესაა რიგით XXIX გათამაშება.

მრავალი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩატარდა I ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის (მანამდე, როგორც ცნობილია, საკავშირო გათამაშებებში მონაწილეობდნენ ქალაქების ნაკრები გუნდები). 1936 წლის გაზაფხულზე ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდა სულ 6 გუნდი, ახლა კი, 31 წლის შემდეგ, უმაღლეს ლიგაში წარმომადგენლობის რაოდენობა ავიდა 19-მდე, თუმცა იყო წლები, როცა გუნდების რიცხვი უდრიდა 22-ს.

განვლილი 28 ჩემპიონატის მანძილზე I ჯგუფში სულ უთამაშიათ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ოდესის, დონეცკის, ვოლგოგრადის, ხარკოვის, დონის როსტოვის, ბაქოს, მინსკის, კუიბიშევის, ერევნის, რიგის, გორკის, კალინინის, ვილნიუსის, კიშინიოვის, სვერდლოვსკის, ალმა-ათის, ტალინის, ქუთაისის, ტაშკენტის, ვორონეჟის, იაროსლავლის გუნდებს.

სულ სამ გუნდს აქვს მონაწილეობა მიღებული სსრ კავშირის ყველა, 28 განვლილ პირველობაში (უმაღლეს ლიგაში). ესენია: „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი). 27 ჩემპიონატში ითამაშეს თბილისის დინამოელებმა, 26-ში — ცსკა-მ.

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოპოვებული აქვს სულ 6 გუნდს: მოსკოვის „დინამოს", „სპარტაკს", ცსკა-ს, „ტორპედოს", კიევის „დინამოს" და თბილისის „დინამოს".

ამ ექვს ჩემპიონს შორის საუკეთესო მაჩვენებლები, რა თქმა უნდა, მოსკოვის „დინამოს" აქვს. ეს გუნდი ათჯერ იყო ჩემპიონი, რვაჯერ — ვიცე-ჩემპიონი და ორჯერ — ბრინჯაოს მედლების მფლობელი.

მოსკოვის „სპარტაკის" მიღწევები საკავშირო ჩემპიონატებში ასეთია: I ადგილი — რვაჯერ, II — ოთხჯერ, III — ექვსჯერ.

ომისშემდგომ წლებში დაწინაურდა მოსკოვის არმიელთა გუნდი, რომელიც ერთხანს საბჭოთა ფეხბურთის ეტალონს წარმოადგენდა. მას ხუთჯერ აქვს მოპოვებული I ადგილი, სამჯერ — II და ექვსჯერ — III.

მოსკოვის ტორპედოელებმა გათამაშების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს ორჯერ. II ადგილის მფლობელნი ისინი იყვნენ სამჯერ, ხოლო III — ორჯერ.

პირველი გუნდი, რომელმაც დაარღვია მოსკოველთა ჰეგემონია, იყო კიევის „დინამო". მან ორჯერ მოიპოვა უმაღლესი ტიტული, ოთხჯერ II და ერთხელ — III ადგილი.

დაბოლოს, თბილისის „დინამო". 1964 წელს იგი გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, სხვადასხვა წელს ოთხჯერ იყო II ადგილის მფლობელი და ექვსჯერ — მესამისა.

ამრიგად, მოსკოვის „დინამო" საპრიზო ადგილებზე გასულა 20-ჯერ, და მას, უდავოდ, ეკუთვნის აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი. შემდგომ ადგილებზე მოდიან: მოსკოვის „სპარტაკი" — 18, ცსკა — 14, თბილისის „დინამო" — 11, კიევის „დინამო" — 7 და მოსკოვის „ტორპედო" — 7. თუ ამ ქულების მიხედვით შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა, თბილისის „დინამოს" საბჭოთა ფეხბურთის ლიდერთა შორის საერთო IV ადგილი უკავია.

შეიძლება სხვა პირობითი გამოთვლაც მოვახდინოთ: I ადგილისთვის დავაწესოთ კოეფიციენტი 3, მეორესთვის — 2, მესამისთვის — 1. მივიღებთ ასეთ სურათს: „დინამო" (მოსკოვი) — 48 ქულა, „სპარტაკი" (მოსკოვი) — 38, ცსკა — 27, „დინამო" (თბილისი) — 17, „დინამო" (კიევი) — 15, „ტორპედო" (მოსკოვი) — 14. როგორც ხედავთ, მდგომარეობა არ შეცვლილა.

საერთოდ კი, ეჭვს არ იწვევს, რომ სწორედ ეს 6 გუნდი, 6 ჩემპიონი წარმოადგენს სამამულო ფეხბურთის ავანგარდს, განსაზღვრავს მისი განვითარებისა და წარმატებათა გზებს.

გარდამავალი წითელი დროშა — საქართველოს

საქართველოს მშრომლები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მათ დიდი წარმატებანი მოიპოვეს ხუთწლედის პირველ წელს: გადაჭარბებით შესრულდა მარცვლის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, დაფნის ფოთლის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

საქართველოს, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1966 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის გამარჯვებულად ცნეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ სასიხარულო მოვლენას მიეძღვნა გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართული რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება სოფლის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი **ლ. რ. კორნიეცი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და რესპუბლიკის ყველა მშრომელს დამსახურებული გამარჯვება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მიენიჭათ სოფლის მეურნეობაში 1966 წელს მოპოვებული დიდი წარმატებისათვის.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. კორნიეცმა დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ. დ. ჯავახიშვილს.**

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ჯავახიშვილმა.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. ბაჟელიძემ,** გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ლაკოიამ,** „თბილისგვირაბმშენის" გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ტ. ობოლაძემ,** ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის არტელის კოლმეურნემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. სხულუხიამ** და სხვ.

კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა **ვ. პ. მჟავანაძე.**

ფეხბურთი... შპიცბერგენზე

საქმეს მოგვითხრობს

მურმანსკი, 31 მარტი. შპიცბერგენის ყინულოვან კუნძულზე დაიწყო... საფეხბურთო ტურნირი. დიახ, 78-ე პარალელზე 200 კმ ჩრდილოეთით პოლარული წრიდან, ბარენცბურგის საბჭოთა მემაღაროელებმა დაიწყეს არქტიკის თასის ტრადიციული გათამაშება. ამ შეჯიბრებაში ყოველწლიურად ასამდე კაცი მონაწილეობს. ბრძოლაში ახლაც რამდენიმე გუნდი ჩაება.

მაღაროელთა მეორე დასახლებაში კი სტარტი აიღეს ჰოკეისტებმა. ბარენცბურგის კლუბში დაიწყო ფრენბურთელთა შეჯიბრება. მოთხილამურეები ნორვეგიელებთან საერთაშორისო ასპარეზობისთვის ემზადებიან.

გუშინ...

წყალტუბოში გათამაშდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXVIII ჩემპიონატის III ტური. ჯინჯიხაშვილმა მოუგო მუჯნიაშვილს, კალატოზიშვილმა — ჩიქოვანს. ლომაია — გიორგაძისა და ელიოზიშვილი — ბერაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადადებულია შეხვედრები: ჯანოევი — მიქაძე, არნშტეინი — უბილავა და ხაბურზანია — ბლაგიძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

ქუთაისში გაიმართა ადგილობრივი და მოსკოვის ტორპედოელთა დუბლშემადგენლობების პირველი კალენდარული მატჩი. მიუხედავად ქუთაისელ ფეხბურთელთა თვალსაჩინო უპირატესობისა, თამაში დამთავრდა ფრედ — **0:0.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სპორტული საათი!

◆ **კიოლნი, 1 აპრილი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოსკოვის კლუბის „კუნცევოს" ხელბურთელ ვაჟთა გუნდი აქ დამარცხდა „გუმერსბახთან" — 11:15 (6:10). ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა გაიმართება 16 აპრილს, მოსკოვში.

◆ **მადრიდი,** 1 აპრილი. კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე დასასრულს უახლოვდება. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ამ საპატიო ჯილდოს ახლანდელი მფლობელი — მილანის „სიმენტალი" და მადრიდის „რეალი". ნახევარფინალურ შეხვედრებში იტალიელებმა დაამარცხეს პრაღის „სლავია" — **103:97 (59:59),** ხოლო ესპანელებმა — ლიუბლიანის „ოლიმპია" — **88:86 (43:40).**

◆ **პარიზი,** 1 აპრილი. საფრანგეთის სპორტის ეროვნული ინსტიტუტის სტადიონზე ამ ქვეყნის რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში ჟ. დ'ანკოსმა დაძლია 532 სმ სიმაღლე. ეს შედეგი 7 სანტიმეტრით აღემატება კონტინენტის რეკორდს და მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამოუვარდება ამერიკელი ჯ. პენელის მსოფლიო მიღწევას, მაგრამ რეკორდად დამტკიცება არ უწერია, ვინაიდან იგი ნაჩვენებია ფრანგი მძლეოსნების საწვრთნელი შეკრების შემდეგ გამართულ არაოფიციალურ შეჯიბრებაში.

◆ **ოსტინი (აშშ), 1 აპრილი.** მძლეოსანთა აქ გამართულ ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა, რომელიც წლეულს პირველად გამოვიდა ღია ცის ქვეშ, წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენა მსოფლიოში: ბადრო 61,28 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ბირთვი 20,75 მეტრზე ჰკრა.

◆ **სარაევო,** 1 აპრილი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის X ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა დაამარცხა იუგოსლაველი ს. ნიკოლიჩი და 7 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან იუგოსლაველები ბ. ივკოვი და დ. ჩირიჩი, აგრეთვე, ამერიკელები რ. ბირნი და პ. ბენკო, რომელთაც 6,5-6,5 ქულა აქვთ. ლიდერის დაწევა შეუძლია ხარკოველ ვ. სავონს, რომელსაც 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უკეთეს პოზიციაში.

მოქმედი სნაიპერები

უკანასკნელი „მოჰიკანი“, რომელსაც გატანილი ჰქონდა 100-ზე მეტი ბურთი, იყო მოსკოვის „ტორპედოს“ ცენტრალური თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ივანოვი (124 გოლი), მაგრამ წლეულს მან თავი დაანება თამაშს და ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელებს ავარჯიშებს „ტორპედოში“.

ყველაზე შედეგიან ფეხბურთელთა შორის, რომლებიც დღესაც განაგრძობენ თამაშს, ასეთი მდგომარეობაა:

1. ო. კოპაევი (ასკ, როსტოვი) — 89.
2. გ. გუსაროვი („დინამო“, მოსკოვი) — 82.
3. გ. კრასნიცკი („პახტაკორი“, ტაშკენტი) — 80.
4. ბ. კაზაკოვი (ცსკა) — 73.
5. ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი) — 73.
6. ი. ფალინი („სპარტაკი“, მოსკოვი) — 69.
7. ვ. ბარქაია („დინამო“, თბილისი) — 67.
8. ა. ბიბა („დინამო“, კიევი) — 67.
9. შ. იამანიძე („დინამო“, თბილისი) — 66.
10. გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“, მოსკოვი) — 63.
11. ი. ჩისლენკო („დინამო“, მოსკოვი) — 63.
12. ს. მეტრეველი („დინამო“, თბილისი) — 62.

ვის გააქვს ბურთები

საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში გატანილ იქნა 766 ბურთი, რომელთა ავტორებია 195 ფეხბურთელი. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც საკუთარ კარშიც „მოახერხა“ გოლის გატანა, მაგრამ გარკვეული ორიენტირისთვის ჩვენ დავასახელებთ ყოველი გუნდის საუკეთესო ბომბარდირს:

1. ი. დათუნაშვილი („დინამო“, თბილისი) — 20.
2. ა. ბიშევეცი („დინამო“, კიევი) — 19.

3-4. ბ. კაზაკოვი (ცსკა), ნ. ოსიანინი („სპარტაკი“, მოსკოვი) — 15-15.

5-7. ო. კოპაევი (ასკ, როსტოვი), ყ. ტუაევი („ნეფტიანიკი“, ბაქო), ვ. კოზლოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი) — 14-14.

8. ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი) — 12.

9. ი. ავრუცკი („დინამო“, მოსკოვი) — 11.

10-12. გ. კრასნიცკი („პახტაკორი“, ტაშკენტი), ჯ. ხაჟალია („ტორპედო“, ქუთაისი), ვ. მოსკალენკო („ჩერნომორეცი“, ოდესა) — 10-10.

13-14. ა. ვასილიევი („ზენიტი“, ლენინგრადი), ა. ჟუკოვი („კრილია სოვეტოვი“, კუიბიშევი) — 9-9.

15-16. მ. მუსტიგინი („დინამო“, მინსკი), ს. ევსეენკო („შახტიორი“, დონეცკი) — 8-8.

17. ვ. ვორონჩიხინი („კაირატი“, ალმა-ათა) — 7.

18. ს. გალსტიანი („არარატი“, ერევანი) — 5.

19. გ. აპუხტინი (ასკ, ოდესა) — 3.

ლაპარაკობენ მწვრთნელები

„...ანგარიში გაგვიწიოს“

ჩვენი კორესპონდენტი შ. ნიჟარაძე ესტუმრა ქუთაისის ტორპედოელთა საწვრთნელ ბაზას და სეზონის დაწყების სტარტზე ესაუბრა კოლექტივის ხელმძღვანელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ა. ნორაკიძეს. აი, რა თქვა მწვრთნელმა:

— უპირველესად ყოვლისა, დღევანდელ მატჩზე. ჩვენ საკუთარ მინდორზე ვეთამაშებით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს — მოსკოვის „ტორპედოს“. ეს გარემოება კოლექტივის თვითეული წევრისგან მოითხოვს მონდომებისა და ძალების სრულ მობილიზებას. მოსკოვის ტორპედოელებთან ჩვენ მუდამ კარგად ვთამაშობთ და იმედი გვაქვს წლეულსაც არ დავარღვევთ ეს ტრადიცია. ჩემპიონატის სტარტზე კარგი თამაში გუნდს ჩაუსახავს რწმენას საკუთარ ძალებში და საშუალებას მისცემს აწარმოოს ბრძოლა „უმაღლეს დონეზე“.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ქუთაისის ტორპედოელებმა ურიგოდ არ ჩაატარეს გათამაშება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. მართალია, ჩვენ ვერ შევძელით „ენძელის“ თასის მოპოვება და დავთმეთ იგი ფინალურ მატჩში, მაგრამ თავდამსხმელთა გაუბედაობა და უზუსტო დარტყმები რომ არა, პრიზი ჩვენი იქნებოდა. ამრიგად, ერთი მეტად სერიოზული ნაკლოვანების გამოსწორება გუნდის უახლოესი ამოცანაა.

ამ პირველ შეჯიბრებაში ჩვენი თამაში საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ წლეულს უკეთესად იბრძოლებს „ა“ კლასის I ჯგუფში, ვიდრე შარშან.

„სოვეტსკი სპორტის“ პრიზის მატჩებში ჩვენი გუნდის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ძირითადი, სტაბილური შემადგენლობის დადგენა და პირველი შემცვლელების, ე. ი. უახლოესი რეზერვების გამოვლენა. გამოირკვა, რომ ჩვენს გუნდში არის ის მარაგი, რომლითაც შეიძლება უმტკივნეულოდ აწარმოო სხვადასხვა სახის აუცილებელი გადაადგილებანი. ს. კუტივაძისა და გ. ნოდიას ადგილებზე გამოიძებნა ახალგაზრდობა, რომელმაც საკმაოდ კვალიფიციურად ითამაშა. მაგალითად, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ლ. ნოდიასი, ი. ჩხაიძისა, ა. კუპრეიშვილისა, რ. ჭოლაძისა, რ. ნაჭყებიასი. გუნდის მომავალი მათს ხელშია.

ჩვენ ვილაპარაკეთ ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელთა შეცდომებზე ფინალურ მატჩში, მაგრამ, საერთოდ, ჩვენს გუნდს ვერ ვუსაყვედურებთ დაბალ შედეგიანობას. იმავე „ენძელის“ პრიზზე ქუთაისელმა თავდამსხმელებმა ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში, ხოლო შარშანდელ ჩემპიონატში გატანილი ბურთების მიხედვით VIII ადგილზე ვართ. ვფიქრობ, ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ კიდევ და კიდევ გვჭირდება მუშაობ დაცვის რიგების განმტკიცებისათვის. გაიხსენეთ: გაშვებული ბურთებით ჩვე შარშან ბოლო, მე-19 ადგილზე ვიმყოფებოდით „ა“ კლასის I ჯგუფში.

ჩვენი ტაქტიკური ძიების საგანს წარმოადგენს მინდვრის შუაგული და ა მოპოვებული საერთო უპირატესობა. ჩემი აზრით, თუ ეს ამოცანა წარმატებით გადავწყვიტეთ, გუნდის თამაში გაძლიერდება და დაცვაც უფრო საიმედო გახდება.

ერთი სიტყვით, ვიბრძოლებთ საიმისოდ, რომ შევქმნათ ჩვენი საკუთარი სპეციფიკური სახე და ვაიძულოთ ყველა მეტოქე ანგარიში გაგვიწიოს.

„ჩვენი“ ინტერვიუ

ვინ ითამაშებს ჩვენს გუნდში

●

„ტორპედო“ (ქუთაისი)

გუნდის უფროსი და უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელები — სპორტის ოსტატი გ. სორდია და ა. ახობაძე.

მეკარეები — რ. ანდღულაძე (1944), ე. იმედაძე (1948), რ. კვასხვაძე (1940); მცველები — გ. ზარია (1945), ი. ლოსაბერიძე (1939), გ. მუკბანიანი (1947), ა. სიამაშვილი (1940), ა. წვერავა (1945), მ. წივწივაძე (1942), ი. ჩხაიძე (1946), ზ. ებრალიძე (1944); ნახევარმცველები — მ. ასიტაშვილი (1947), რ. ძოძუაშვილი (1945), ა. კუპრეიშვილი (1948), ე. პაპკურიძე (1948), რ. ჭოლაძე (1948); თავდამსხმელები — დ. ვეკუა (1943), თ. კოხრეიძე (1947), რ. ნაჭყებია (1948), ლ. ნოდია (1949), ა. საკანდელიძე (1948), ჯ. ხაჟალია (1938), ჯ. ხერხაძე (1945), ა. ჭითანავა (1939), ვ. ჩხარტიშვილი (1940), ა. ერქომაიშვილი (1945).

საუკეთესო მეკარეები

ინგლისური საფეხბურთო თქმულებაა: თუ კარგი მეკარე გყავს, შეგიძლია თამამად ითამაშო. ეს ასეცაა: მეკარე ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა გუნდში და მის თამაშზე საგრძნობლადაა დამოკიდებული კოლექტივის წარმატება.

ფეხბურთის მოყვარულთათვის, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება გაეცნონ საუკეთესო მეკარეებს სსრ კავშირის ჩემპიონატების მთელს ისტორიაში (კლასიფიკაცია წარმოებულია ასე: გაშვებული ბურთების რაოდენობა იყოფა ნათამაშევი მატჩების რიცხვზე, ამასთან მხედველობაში მიიღება ძირითადი მეკარე, რომელსაც თამაშების მეტი რაოდენობა აქვს ჩატარებული თავის გუნდში).

1936 (გაზაფხული) — ი. რიჟოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

1936 (შემოდგომა) — ა. დოროხოვი („დინამო“, თბილისი).

1937 — ა. აკიმოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

1938 — ვ. უმელკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

1939 — ვ. უმელკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

1940 — ე. ფოკინი („დინამო“, მოსკოვი).

1945 — ა. ხომიჩი („დინამო“, მოსკოვი).

1946 — ვ. ნიკანოროვი (ცდკა).

1947 — ა. ხომიჩი („დინამო“, მოსკოვი).

1948 — ა. ხომიჩი („დინამო“, მოსკოვი).

1949 — ა. ხომიჩი („დინამო“, მოსკოვი).

1950 — ვ. ნიკანოროვი (ცდკა).

1951 — ვ. ნიკანოროვი (ცდკა).

1952 — ვ. მარღანია („დინამო“, თბილისი).

1953 — მ. პირაევი („სპარტაკი“, მოსკოვი).

1954 — ვ. კუბლიცკი („ლოკომოტივი“, მოსკოვი).

1955 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1956 — ვ. ტუჩკუსი („სპარტაკი“ მოსკოვი).

1957 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1958 — ვ. ბელიაევი („დინამო“, მოსკოვი).

1959 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1960 — ა. გლუხოტკო („ტორპედო“, მოსკოვი).

1961 — ნ. უგრაიცკი („ავანგარდი“, ხარკოვი).

1962 — ი. ბაუჟა (ცსკა).

1963 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1964 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1965 — ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი).

1966 — ვ. რუდაკოვი („დინამო“, კიევი).

სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზ უკეთესი შედეგი აქვს ლ. იაშინს, რომელმაც 196 წელს 27 მატჩში გაუშვა სულ 6 ბურთი!

შენიშვნა: ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ ბოლო წლებში დააწესა სპეციალური პრიზი მეკარეთათვის, მაგრამ იგი გადაეცემა არა მარტო ჩემპიონატის, არამედ მთელი სეზონის შედეგების მიხედვით





ჩემპიონატების ქრონიკა

•

პირველი... პირველი... პირველი...

სსრ კავშირის I ჩემპიონატის პირველი მატჩი შედგა 1936 წლის 22 მაისს ლენინგრადში, ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივს" შორის. პირველი გოლი გაიტანა ლოკომოტიველმა ვ. ლავროვმა, თუმცა ეს შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს — 3:1.

თბილისში პირველი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე I ჯგუფში გაიმართა 1936 წლის 7 სექტემბერს. თბილისის დინამოელთა მეტოქე იყო კიევის „დინამო". მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

თბილისელთა მხრივ პირველი გოლის ავტორი იყო მარცხენა გარემარბი ნ. სომოვი.

პირველი პენალტის დარტყმის უფლება მიიღო ლენინგრადის „კრასნაია ზარიამ". ეს იყო 1936 წლის 23 ივნისს. მაგრამ 11-მეტრიანი აცდა კარს.

პირველი გატანილი პენალტი ეკუთვნის ცდკა-ს მოთამაშე კ. მალინინს, ხოლო პირველი აღებული — მოსკოვის „ლოკომოტივის" მეკარე ვ. გრანატკინს. მან ბურთი აიღო კიეველი გრებერისგან.

პირველად მე-100 პირადი ბურთი გაიტანა ცდკა-ს ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. ფედოტოვმა.

პირველი მე-1.000 გოლი გაიტანეს მოსკოვის დინამოელებმა 1950 წელს.

პირველი ნულოვანი ფრე ფიქსირებულ იქნა... მხოლოდ III საკავშირო ჩემპიონატში, 1937 წელს, მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „დინამოს" შეხვედრაში.

პირველად მე-300 მატჩი საკავშირო ჩემპიონატებში ითამაშა მოსკოველმა ს. სალნიკოვმა 1958 წლის 20 სექტემბერს. მეორე დღეს, 21 სექტემბერს, ასეთივე საიუბილეო მატჩი ჰქონდა თბილისელ ა. ღოღობერიძეს.

პირველად ჩემპიონმა — მოსკოვის „დინამომ" პირველი ქულა დაკარგა თბილისის „დინამოსთან" შეხვედრაში. ეს მოხდა 1936 წლის შემოდგომაზე — 1:1.

პირველად ჩემპიონის წოდება მოსკოვიდან „წაიღეს" კიევის დინამოელებმა — 1961 წელს.

პირველი გუნდი, რომელმაც მოიგო გათამაშება „ბ" ჯგუფში, იყო თბილისის „დინამო" (1936 წლის გაზაფხული).

პირველი „დუბლი" (ჩემპიონობა და თასი) გააკეთა მოსკოვის „დინამომ" — 1937 წელს.

ლაპარაკობენ მწვრთნელები

ყველაფერს ვიღონებთ...

ჩვენი კორესპონდენტი ო. ნოზაძე ეწვია თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელს, უკრაინის სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ვ. სოლოვიოვს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

● **გთხოვთ მოკლედ მოგვითხროთ თქვენი საფეხბურთო ბიოგრაფია.**

— თამაში 1939 წელს, 14 წლისამ დავიწყე მოსკოვის „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდში. 1944 წლიდან 1952 წლამდე ვთამაშობდი მოსკოვის არმიელთა „დიდი გუნდის" შემადგენლობაში.

1954 წელს მწვრთნელის საქმიანობას შევუდექი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვში", შემდეგ ერთხანს ვავარჯიშებდი სახალხო ჩინეთის ახალგაზრდულ ნაკრებს. 1959 წლიდან ვიყავი კიევის „დინამოს" მწვრთნელი და იმ ხანებში გუნდმა დაიკავა II, I და V ადგილები. შემდეგ ვმუშაობდი ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" უფროს მწვრთნელად, ხოლო ა. წ. 15 მარტიდან მომიწვიეს თბილისის „დინამოში".

● **რას გვეტყვით ქართული ფეხბურთის და, კერძოდ, თბილისის „დინამოს" შესახებ?**

— ამერიკის აღმოჩენას არ ვაპირებ და გავიმეორებ მხოლოდ საყოველთაოდ დადგენილ ჭეშმარიტებას, რომ ქართული ფეხბურთი ერთ-ერთი საუკეთესო და თავისებურია საბჭოთა საფეხბურთო სკოლაში. თბილისის „დინამოს" თამაშის ხილვა დიდი სიამოვნებაა ყველასთვის: ესაა უაღრესად ტექნიკური, სწრაფი, აზარტული და ექსპანსიური გუნდი, მის რიგებში მუდამ იყვნენ და არიან ტყავის ბურთის ბრწყინვალე ოსტატები. თბილისის „დინამოს" ყოველთვის ახასიათებდა შემტევი, აგრესიული თამაში. გაიხსენეთ ბ. პაიჭაძე, შ. შავგულიძე, გ. ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, ვ. პანიუკოვი, ვ. ბერეჟნოი, ბ. ფროლოვი, ა. ღოღობერიძე, გ. ანთაძე, მეკარეები ა. დოროხოვი, ა. ტყებუჩავა, ვ. მარღანია და სხვანი.

მაგრამ თბილისელთა მეტოქეებმა იცოდნენ ქართული ფეხბურთის არა მარტო ძლიერი, არამედ სუსტი მხარეებიც. დინამოელებს უყვარდათ შეტევა, შეტევა, რაც ხშირად გადადიოდა ზედმეტ სიცხარესა და აზარტში. ამის გამო ზოგჯერ ირღვეოდა დაცვის რიგები და ფეხბურთი ცილდებოდა კოლექტიური ბრძოლის ჩარჩოებს. ბუნებრივია, მეტოქეები ცდილობდნენ შესაბამისად გამოეყენებინათ ეს.

თბილისის „დინამოში" ტაქტიკური გეგმის სიმკაცრე და საჭირო ნორმების დაცვა საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოთამაშეთა ტექნიკურ სრულყოფას და ინდივიდუალურ ღირსებებს. შემდგომ წლებში გუნდში ბევრი რამ გაკეთდა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად.

● **1964 წელს ქართულმა ფეხბურთმა დიდი გამარჯვება იზეიმა. მაშინ თბილისის „დინამომ" პირველად თავისი არსებობის ისტორიაში მოიპოვა ჩემპიონის წოდება. რას გვეტყვით მაშინდელ გუნდზე?**

— თბილისის „დინამოს" მესამე თაობაში თავი მოიყარეს ისეთმა ოსტატებმა, როგორიც არიან მ. მესხი, ვ. ბარქაია, გ. ჩოხელი, ს. მეტრეველი, შ. იამანიძე, ს. კოტრიკაძე და სხვანი. ისინი ერთი ასაკისანი არიან, ერთი ინტერესები აქვთ, ერთდროულად დაიწყეს თამაში და გარკვეული დროის განმავლობაში თბილისის „დინამო" მეტად მძლავრ კოლექტივად შეკრა. დიდმა ტაქტიკურმა პროგრესმა, ნებისყოფამ და საერთო ენთუზიაზმმა გუნდს საშუალება მისცა ოქროს მედლებამდე მიეღწია. შემდეგში მოხდა ერთგვარი რეგრესი. ფეხბურთელებმა რატომღაც იფიქრეს, რომ მათ თავიანთი ვალი მოიხადეს და საგრძნობლად უკლეს გულმოდგინებას. ეს ეხება ერთ პლეადას, ხოლო მეორენი, ე. ი. ახალგაზრდები, ჯერ კიდევ არ იყვნენ მიღწეული ოსტატობის იმ დონეს, რომელიც საჭიროა დიდი წარმატებების შესანარჩუნებლად. შეიძლება ითქვას, რომ გუნდი „ორ შემადგენლობად" გაიყო, რასაც უარყოფითი შედეგიც მოჰყვა. ყველაფერი ზემოთქმული ჩემი სუბიექტური აზრია.

● **ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ თბილისის „დინამოს" დღევანდელი მდგომარეობა.**

— დასამალი არაა და არც საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ ჩვენს გუნდში ახლა მძიმე პერიოდია. მოთამაშეებმა დაკარგეს ფსიქოლოგიური წონასწორობა, ვინაიდან, როცა გავიწყდება გამარჯვების გემო, კარგავ საკუთარი ძალის რწმენასაც. ამ პერიოდის კიდევ ერთ სიძნელეს წარმოადგენს უფროსი თაობის მიერ ესტაფეტის გადაცემა მომდევნო თაობისთვის. რომ ამ ოპერაციამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს, საჭიროა გავუხანგრძლივოთ სპორტული მრავალწლიანობა ვეტერანებს და, ამავე დროს, ახალგაზრდობის ოსტატობის დონე დავუახლოვოთ უფროსებისას. ეჭვი არაა, წინამდებარე სეზონში კარგსაც ბევრს ვნახავთ და ცუდსაც, მაგრამ ჩვენი ამოცანაა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა გუნდი საბოლოოდ დადგეს ფეხზე. პირადად მე კმაყოფილი ვარ მეკარეებისა, საყვედურს ვერ ვიტყვი თავდასხმაზე, მაგრამ საჭირო იქნება დაცვის უკეთ შეთამაშება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს დაცვას სულ მალე მხარში ამოუდგება გამოცდილი გ. ცხოვრებოვი, რომელიც გააძლიერებს ამ რგოლს.

ტაქტიკური თვალსაზრისით ვითამაშებთ ისე, როგორც ამას მოთამაშეების ფორმა, შექმნილი ვითარება და მეტოქეთა ძალები გვიკარნახებს.

● **რას გვეტყვით ჩვენი გუნდის პერსპექტივებზე?**

— საოცარია, მაგრამ საქართველოში. სადაც ამდენი კარგი გუნდია, ახლა ლაპარაკია ნიჭიერ ფეხბურთელთა ნაკლებობაზე. „დინამოში" სათადარიგო შემადგენლობა ჯერ კიდევ დაუკომპლექტებელია. ვეძებთ ახალ ფეხბურთელებს, ვეძებთ მათ თბილისშიც და რაიონებშიც.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები ძალიან მძიმეა. გაძნელდა თვითეული ქულის აღება, ამიტომ წინასწარ თქმა, თუ რომელ ადგილს ავიღებთ, შეუძლებელია. კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ყველაფერი იღონოს, რათა თბილისის „დინამო" იდგეს იქ, სადაც მას ღირსეულად ეკუთვნის ადგილი.

„[illegible]" ინტერვიუ

ვინ ითამაშებს ჩვენს გუნდში

•

„დინამო" (თბილისი)

გუნდის უფროსი და უფროსი მწვრთნელი — უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი ვ. სოლოვიოვი, მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი.

მეკარეები — ს. კოტრიკაძე (1936), ო. ნარსია (1945), რ. ურუშაძე (1939); *მცველები* — თ. ლორთქიფანიძე (1948), გ. რეხვიაშვილი (1944), ბ. სიჭინავა (1936), ნ. ხურცილავა (1943), ვ. ქელიძე (1945), მ. შურგულაშვილი (1948); *ნახევარმცველები* — ა. ილიადი (1945), ს. ქუტივაძე (1944), გ. პეტრიაშვილი (1941), გ. პაჭკაძე (1944), გ. ხართიშვილი (1945), შ. ჭეიშვილი (1948), შ. იამანიძე (1937); *თავდამსხმელები* — კ. ასათიანი (1947), ვ. ბარქაია (1937), ი. დათუნაშვილი (1937), მ. მესხი (1937), ს. მეტრეველი (1936), გ. ნოდია (1948), გ. ხუციშვილი (1943).

საქართველოს სპორტკავშირში

ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა თბილისის „ლოკომოტივიდან" ქუთაისის „ტორპედოში" გადაიყვანა ნახევარმცველი მ. ძაგანია.





ტალინური ეპილოგი

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატმა თბილისში დაგვისახელა ახალი ჩემპიონი ლ. შტეინი და ვერცხლის მედალი ე. გელერს მიაკუთვნა. მაგრამ ამ შეჯიბრებამ ვერ გამოავლინა ოთხეული, რომელმაც საზონათშორისო ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

III-V ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ვ. კორჩნოიმ, მ. ტაიმანოვმა და იმ დროს ჯერ კიდევ ოსტატმა ა. გიპსლისმა — ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ მხოლოდ ჩემპიონატის შემდეგ მიანიჭა მას დიდოსტატის წოდება. სამიდან მხოლოდ ორს შეეძლო მიეღო საგზური ტუნისისა, სადაც საზონათშორისო ტურნირი უნდა გაიმართოს. ამიტომ წამოიჭრა კითხვა: ვინ არის მესამე ზედმეტი? აი, ამ კითხვას უნდა მისცეს პასუხი მატჩ-ტურნირმა კორჩნოის, ტაიმანოვსა და გიპსლისს შორის რომელიც გუშინ დაიწყო ტალინში.

ამ შეჯიბრებას მატჩ-ტურნირი იმიტომ ეწოდება, რომ მონაწილენი ერთმანეთში არა თითო, არამედ ორ-ორ პარტიას გაითამაშებენ, ესე იგი მიკრომატჩებს ჩაატარებენ. სხვათა შორის, კორჩნოიმ და ტაიმანოვმა წინადადება შემოიტანეს ოთხ-ოთხი პარტია ეთამაშოთ, მაგრამ გიპსლისი არ დაეთანხმა მათ.

რატომ? ამას, სულ ცოტა, ორი მიზეზი აქვს. პირველი: ეგრეთ წოდებული ბერგერის ცხრილით გიპსლისს „ქულების შეფარდება“ უკეთესი აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ მატჩ-ტურნირში II-III ადგილები გაიყო, იგი მაინც ხვდება საზონათშორისო ტურნირში. ამრიგად, ყველა პარტია რომ ყაიმით დაამთავრონ, გიპსლისს თავი ქუდში ექნება. სავსებით ნათელია, რომ პარტიების რიცხვის ზრდა გაართულებდა მის ამოცანას.

მეორე მიზეზი: გიპსლისი, თუ შეიძლება ითქვას, ახალშობილი დიდოსტატია, მას ჯერ მეტრიკული მოწმობაც არა აქვს, მაშინ, როცა კორჩნოი და ტაიმანოვი გამობრძმედილი არიან. ნათელია, რომ მათი დიდი გამოცდილება გრძელ დისტანციაზე უფრო ნათლად გამოჩნდება (დაახლოებით თანაბარი კლასის მოჭადრაკეებადაც რომ მივიჩნიოთ ისინი). ერთი სიტყვით, დისტანცია მოკლეა, გათამაშდება ორ-ორი პარტია და შანსების შეფასებისას ეს უნდა გავითვალისწინოთ.

ჩვენ ვიცით, რას ამბობენ თავად მონაწილეები და ეს ხსნის ფსიქოლოგიურ ფარდას, რომელიც მებრძოლთა ჩანაფიქრს ფარავს. მაგალითად, ტაიმანოვი ხუმრობს, რომ იგი შეჯიბრების მოგებას არ აპირებს, მაგრამ არც მისი წაგება სურს. ფორმულა, როგორც ხედავთ, საკმაოდ ელასტიკურია. გიპსლისი ამბობდა, რომ მას მხოლოდ დიდოსტატობა სურს, საზონათშორისო ტურნირი კი სულაც არ აღელვებს. თუმცა, ეს ყოველივე მხოლოდ სიტყვებია. კარგადაა ცნობილი, რომ ყველა მონაწილე ენერგიულად ემზადებოდა ამ შესარჩევი შეჯიბრებისთვის და ეჭვი არ არის, ყოველი ღონით ეცდება საზონათშორისო ტურნირის საგზურის მოპოვებას.

ვიდრე პროგნოზებზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, მინდა გაგახსენოთ მონაწილეთა ზოგიერთი ობიექტური მონაცემი. დავიწყოთ მთავარი ფავორიტიდან: კორჩნოი 35 წლისაა. ჭადრაკში კი ეს „ოქროს შემოდგომა“ გახლავთ. მის ანგარიშზეა მრავალი შესანიშნავი გამარჯვება, მათგან სამი მოპოვებულ იქნა უძნელეს ბრძოლაში — სსრ კავშირის ჩემპიონატებში. კორჩნოი მონაწილეობდა, თუმცა არასახარბიელოდ, პრეტენდენტთა ასპარეზობაშიც. მისი თამაშისთვის დამახასიათებელია, პირველ ყოვლისა, უკომპრომისობა. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში კორჩნოიმ მხოლოდ I ადგილი კი არ დაიკავა, ქულათა მაქსიმუმიც მოაგროვა (მაგალითად, ბუდაპეშტში — 15-დან 14,5 ქულა!). თბილისში კორჩნოიმ მოულოდნელად ყაიმით დაამთავრა 16 შეხვედრა, მაგრამ ეს მისი სტილის ევოლუციას არ უნდა მიეწეროს, ვინაიდან ყველა საყაიმო პარტია მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა. ეს უფრო იმიტომ მოხდა, რომ კორჩნოი ვერ იყო სათანადო სპორტულ ფორმაში.

დიდოსტატი ტაიმანოვი სსრ კავშირის ჩემპიონატების ვეტერანია. იგი 41 წლისაა, მაგრამ უკვე 17 ამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ამასთან, მან ორჯერ I ადგილი გაიყო. ეს ენერგია და შეუპოვრობა გარკვეული სახით დამახასიათებელია ტაიმანოვის სტილისთვისაც. დიდოსტატი გასაჭირში მეტად გონებამახვილია, რასაც მისი ოპტიმიზმი განაპირობებს.

აივარ გიპსლისი მეტოქეებზე ახალგაზრდაა — 30 წლისაა. იგი ლატვიის მრავალგზის ჩემპიონია, სტუდენტთა მსოფლიო გუნდური პირველობების მონაწილე, სსრ კავშირის პროფკავშირების ჩემპიონი. ჭაბუკობაშიც კი გიპსლისი მყარი, განსაკუთრებით საღი გონებით, ოდნავ მშრალი თამაშით გამოირჩეოდა. თბილისში მისი თამაში უფრო მდიდარი საღებავებით იყო შეფერილი და ეს ერთბაშად დაეტყო კიდეც პარტიებს. ვფიქრობ, თბილისის ჩემპიონატში გიპსლისმა მეტისმეტი მონდომება გამოიჩინა. ყოველ შემთხვევაში, მას ნაკლებად აზარტული ვარიანტი რომ აერჩია ბოლოსწინა ტურში დოროშკევიჩთან, შეიძლება ახლა მატჩ-ტურნირი კი არა, ტაიმანოვ—კორჩნოის მატჩი ჩატარებულიყო.

როგორია მონაწილეთა შანსები ზემომოყვანილ მონაცემთა ფონზე? ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი გამოჩენილი მოჭადრაკე, როგორიც კორჩნოია, II ადგილზე მაინც ვერ გავიდეს. გიპსლისს, როგორც ვიცით, უკეთესი „ბერგერი“ და, მაშასადამე, დამატებითი კოზირი აქვს. ტაიმანოვს უმდიდრესი გამოცდილება და ოპტიმიზმი აძლევს ერთგვარ უპირატესობას. ამიტომ ვის ხვდება გამარჯვება? მართალია მ. ტალი, რომელმაც ამ კითხვაზე მიპასუხა მოკლედ და... გაუგებრად: „ასეთ მოკლე დისტანციაზე — ეს წმინდა ლატარიაა“.

ვ. ვასილიევი.

ჭადრაკი

ოდნავ უკეთესი...

მოსკოვი, 1 აპრილი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). ჩვენი ქვეყნის ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩ-ტურნირის IV ტურში მხოლოდ ი. ბალაშოვმა დაამთავრა შეხვედრა. მან მოუგო კ. გრიგორიანს.

დაუმთავრებელი დარჩა ა. ბოკუჩავა — ლ. გრიგორიანისა და მ. შტეინბერგ — ა. ლუკინის პარტიები. ქართველ ოსტატს გადადებულ პარტიაში ოდნავ უკეთესი პოზიცია აქვს.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბოკუჩავა — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია და ბალაშოვი — 2,5.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

საფრანგეთი

„ლანის“ თავდამსხმელმა ჟ. ლეშმა ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ 2 ბურთი გაიტანა და 24 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას. ამ შეხვედრაში „ლანმა“ მოუგო „ნიმს“ — 2:1.

„რენმა“ დაამარცხა „რუანი“ — 2:1, ხოლო „მარსელმა“ ფრედ ითამაშა „ნიცასთან“ — 1:1.

ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო ნანტში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდსა და „სენტ-ეტიენს“ შორის. გაიმარჯვეს ნანტელებმა — 4:1.

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი“	**29**	**56:32**	**39**
„ნანტი“	**28**	**59:37**	**37**
„ბორდო“	**29**	**36:26**	**35**

ესპანეთი

მორიგ ტურში მადრიდის „რეალმა“ შინ დაამარცხა „ლა კორუნია“ — 2:0, „გრანადამ“ მოუგო მადრიდის „ატლეტიკოს“ — 2:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „რეალ-სარაგოსა“ — „კორდოვა“ 3:0, „ერკულესი“ — „ბარსელონა“ 1:1, „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „ლას-პალმასი“ 3:0.

	თ.	ბ.	ქ.
„რეალი“ (მადრიდი)	**26**	**48:20**	**41**
„ბარსელონა“	**26**	**49:25**	**36**
„ატლეტიკო“ (მადრ.)	**26**	**50:25**	**30**

უნგრეთი

მორიგ ტურში ბუდაპეშტის „ვაშაშმა“ შინ მოუგო „სეგედს“ — 3:0, დიერის „ვაშაში“ კი დამარცხდა ბუდაპეშტის „ფერენცვაროშთან“ — 1:2.

	თ.	ბ	ქ.
„ფერენცვაროში“	**4**	**11:2**	**8**
„უიპეშტ დოჟა“	**4**	**12:2**	**6**
„ვაშაში“ (ბუდაპეშტი)	**4**	**9:3**	**6**

ჰოლანდია

28-ე ტურში შეხვდნენ უძლიერესი გუნდები: ჩემპიონი — ამსტერდამის „აიაქსი“ და თასის მფლობელი როტერდამის „ფეიენოორდი“. მწვავე ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1.

	თ.	ბ.	ქ.
„აიაქსი“	**28**	**103:28**	**46**
„ფეიენოორდი“	**29**	**65:28**	**42**
ადო (ჰააგა)	**29**	**56:32**	**40**

◆

გფრ-ის თასზე

შედგა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები: „მიუნჰენ 1860“—„ფორტუნა“ 2:0, „შალკე 04“ — „ბაიერნი“ (მიუნჰენი) 2:3, „კიკერსი“ — „ჰამბურგერ შფ“ 0:0, „ალემანია“ — „ბორუსია“ (ნოიენკირხენი) 3:1

ფეხბურთი

[illegible]

◆ ბათუმი

აჭარის ტურისტულმა საბჭომ მოაწყო ტრადიციული საგაზაფხულო საოლქო ტურისტული შეკრება, რომელშიც „განთიადისა“ და „სპარტაკის“ ფიზკულტურული კოლექტივები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს ბათუმის გემშენებელი ქარხნის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, ხოლო III—ხილეულის წყლებისა და ლუდის ქარხნის სპორტსმენები.

ა. მიქელთაძე.

◆ ოჩამჩირე

ახალ საჭადრაკო კლუბში მოეწყო მოსწავლეთა გუნდური შეჯიბრება რაიონული გაზეთის („კომუნიზმისკენ“) გარდამავალ თასზე. თვითეულ გუნდში იყო 3 ჭაბუკი და 2 გოგონა. თასი დაისაკუთრა რკინიგზის მე-15 საშუალო სკოლის გუნდმა (ტ. ხაბურზანია, ვ. სიგიდა, ტ. ჩიქობავა, ლ. ბასტაჯიანი, ნ. დოლიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. დამენია).

რ. მედია,

შეჯიბრების მსაჯი, ოჩამჩირის საჭადრაკო კლუბის გამგე.


ნახ. ა. ერაძისა.

უსიტყვოდ...

საქართველოს რეკორდი მოსკოვის აუზში

მოსკოვში დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ ნორჩ მოცურავეთა მატჩი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა გუნდები. საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. II ადგილზეა ბელორუსიის გუნდი, III — საქართველოს კოლექტივი.

ჩვენი ჭაბუკები განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით (მ. ცქიტიშვილი, გ. ბოლქვაძე, ზ. ხურცილავა, ვ. ონუფრიენკო) — 9.17,9. ეს შედეგი „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდებია.

საქართველოს მოცურავეთაგან პირველნი იყვნენ: 50 მ ბრასით — ქ. კალუცკაია—41,3; ჭაბუკებში: 50 და 100 მ ზურგზე — ჯ. ჩაბაკაური — 32,6 და 1.11,7, 50 და 200 მ ბრასით — მ. ქათამაძე — 33,9 და 2.48,1, 100 მ თავისუფალი სტილით — მ. ცქიტიშვილი — 1.08,8.

საპრიზო ადგილებზე გავიდნენ, აგრეთვე, თ. წყაროველი, ზ. ხურცილავა, მ. ცქიტიშვილი, გ. ბოლქვაძე ვ. ონუფრიენკო, გ. გრიგორაშენკო, ს. სტრუნინა, ვ. შამუგლიშვილი, ო. ვოლკოვა, ნ. ბურკინა და სხვ.

ა. ბურასაშვილი.

ცურვა

მალთაყვის სილიან ბილიკებზე

მოტოკროსმენთა საკავშირო...

●

მოტოკროსში წლევანდელი საკავშირო პირადი პირველობის მონაწილეებს ძნელი გამოცდა ელოდათ მალთაყვის მიდამოებში. მათ ორ-ორი ცდა უნდა განეხორციელებინათ სილიან ბილიკზე, რომლის სიგრძეც 2 კილომეტრია. სილაში ასპარეზობა კი ერთობ ძნელი და სარისკოა.

მედლებისთვის ბრძოლას „500-ანები“ აგრძელებდნენ, „250-ანებს“ კი მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლა ჰქონდათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ჩვენი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი, მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. არბეკოვი სტარტზე არ გამოვიდა.

ბრძოლა უამისოდაც საინტერესო გახლდათ და იგი ლენინგრადელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. მოისეევმა მოიგო. II ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ვ. კრასნოშჩეკოვი (მოსკოვი), III — სპორტის ოსტატი ს. ნაბიულინი. თბილისელ გ. ბეგიაშვილს მანქანამ უმტყუნა და რბოლას დასაწყისშივე გამოეთიშა, ჩვენივე დედაქალაქის წარმომადგენელმა, ახალგაზრდა მოტოკროსმენმა ა. მანუკიანმა კი საბოლოოდ VI ადგილი დაიკავა.

რიგელმა სპორტის ოსტატმა გ. დრაუგსმა თბილისში მარცხი იწვნია „500-ანების“ ტურნირში, მაგრამ სოხუმში ყველას აჯობა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. ფოთში მან კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია. ახლა დრაუგსი ჩემპიონის ოქროს მედლის ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

ბრძოლა ასე წარიმართა: თავიდანვე დაწინაურდნენ ა. კლიავინში (რიგა), ი. გრიგორიევი (კიევი) და დრაუგსი. მეტოქენი რბოლას რიგრიგობით ლიდერობდნენ, მაგრამ დრაუგსი ორივე ცდის ბოლო მომენტში დაწინაურდა და ფინიშთანაც ორივეჯერ პირველი მივიდა. კლიავინშს II ადგილი ხვდა წილად. გრიგორიევი III ადგილს დასჯერდა.

ამით დამთავრდა 3 ეტაპი. ორი თვის შემდეგ ივანოვო-ფრანკოვსკში გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის მესამე ეტაპი „250-ანებისთვის“ და მეოთხე— „500-ანებისთვის“.

გ. სხირტლაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

მოტოსპორტი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ხვალ

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში (ფურცელაძის ქუჩიდან) რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის განყოფილება და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ინტერნაციონალური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი აწყობენ მორიგ მეცადინეობას.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გობეჯიშვილი წაიკითხავს ლექციას — „ქართული კულტურის უძველესი კერა ქვემო ქართლში“ (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ბედენის ზეგანზე).

დასაწყისი 17 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. დღეს — „დინამო“ (თბილისი)—„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს.

მოტოსპორტი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **დღეს — რბოლა წიდიან ბილიკზე.** დასაწყისი 13 ს.

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 4 აპრილი. ვაჟთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ტრუდი“ (ლენინგრადი). დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00712